ქართული ღვინის პოზიციონირება ექსპორტიორ ბაზრებზე

გიორგი წიქარაძე
ლუკა კიკნაძე
ირაკლი მგალობლიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ენუქიძე
აკადემიური თანამდებობა: ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

ნაშრომში აღწერილია ქათული ღვინის პოზიციონირების შესაბამისი სტრატეგია, რომლის განხორციელების შედეგად ქართული ღვინო იქნება კონკურენტუნარიანი ექსპორტის ღვინის ბაზრებზე, კერძოდ: დიდი ბრიტანეთის, ლიტვის და ჩინეთის. შესწავლილია ბაზარზე არსებული ტენდენციები და ქართული ღვინის პოზიციონირების სტრატეგიები, რომლებიც ტარდება იმპორტიორ ქვეყნებში. ნაშრომში განხილულია ქართული ღვინს ექსპორტთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემები, როგორიცაა ქვეყნისა და ზოგადად ქართული ღვინის დაბალი ცნობადობა, ექსპორტის გამოცდილების ნაკლებობა, სახელმწიფოს მხრიდან არასაკმარისი ხელშეწყობა ექსპორტზე, ბაზრის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა და სხვა. აგრეთვე აღწერილია ზემოთაღნიშნული პრობლემების გადაჭრასთან დაკავშირებული ღვინის მწარმოებელი კომპანიებისეული ხედვები.